

200 ჯადოსნური ღიმილი

ღიმილის რაოდენობით ადვილად შეიძლება განსაზღვრო ადამიანი გაცნობიერებულად ცხოვრობს თუ ინსტიქტებით.

მეცნიერების გათვლით, იმისთვის, რომ ავავსოთ ჩვენი, სხეული, სული და გონება ბედნიერებისთვის საჭირო ჰორმონებით, საჭიროა დღეში მინიმუმ 200-ჯერ გაღიმება. ამიტომ, გაცნობიერებული ადამიანი რაც არ უნდა ხდებოდეს, ყოველთვის იღიმის დღეში მინიმუმ 200 ჯერ. ხოლო ის ვინც გაუცნობიერებლად ცხოვრობს, ანუ ინსტიქტებით, იმდენჯერ იღიმის, რამდენჯერაც გაუმართლებს. ანუ რამდენჯერაც მოისმენს იმ დღეს რაიმე სასიხარულოს ან სასაცილოს.

წარმოიდგინეთ რომ ჩვენი ორგანიზმი არის ბედნიერების გენერატორი და ამ გენერატორის სახელური უნდა დავატრიალოთ ორასჯერ, რომ მთელი დღის სამყოფი ბედნიერების ენერგიით ავივსოთ. ერთი ღიმილი ვერაფერს შეცვლის. ეს იმის ტოლფასია, რომ ღრმა წყალში აღმოჩენილმა ხელი ერთხელ მოუსვა და ელოდო რომ გადარჩები. აი 200 ღიმილი კი, უკვე ის მინიმალური დონეა ენერგიისა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ბედნიერებას მთელი დღის განმავლობაში. ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ თავიდან უნდა ვისწავლოთ ვიყოთ ბედნიერი და შემდეგ უკვე ბედნიერების ენერგია დაგვეხმარება მივაღწიოთ ნებისმიერ მიზანს. მოკლედ რომ ვთქვათ: „**ჯერ ბედნიერება, შემდეგ ფული!**“

ბედნიერება კი დამოკიდებულია 200 ღიმილზე დღეში და კიდევ რამოდენიმე სავარჯიშოზე, მაგრამ ახლა ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს სხეულზე და ყველაზე ეფექტური სავარჯიშო კი რომელიც ჩვენს სხეულს შეუძლია შეასრულოს ჩვენი „ზე-მე“-ს ბრძანებით, არის 200 ღიმილი.

200 ღიმილი დღეში ავსებს ჩვენს სხეულს, სულს და გონებას ბედნიერების ჰორმონებით, რაც თავის მხრივ 10-ჯერ ზრდის ჩვენს გენიალურობას, ენერგიას და სასიცოხლო ძალებს, რომლებითაც შეგვიძლია მიზნების მიღწევა და ოცნებების ახდენა.

ასე რომ რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე იყო, თუნდაც მოგატყუონ, გიღალატონ, გაკოტრდეს, მოკლედ რაც არ უნდა დაგემართოს, კეთილი ინებე და „ჩააბარე“ დღეში 200 ღიმილი.

შევხვდებით მწვერვალზე!

სიყვარულით და მადლიერებით, ზეიჩა მებონია